

542 / 2
1948

დღეობა

«აყვავილი, ტურფა ქვეყანავე,
იღბინე, ქართლელთა მხარეო,
და შენც, ქართველთა, სწავლე
სამშობლო გაახარეო.»

№ 10 1948



«აყვავილი, ტურფა ქვეყანავ,
იღბნიე, ქართველ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო.»

საქართველოს ალკა ცენტრალური
კომიტეტის უკვალთვიური ორგანო
საბავშვო ფერნალი მცარეწლოვანთათვის

ოქტომბერი
1948



ძვირფასო პატარა მეგობრებო!

სახელოვან ლენინურ-სტალინურ კომკავშირს ოცდაათი წელი შეუსრულდა. თქვენი უფროსი ამხანაგები—ძმები და დები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ზეიმობენ ამ დღეს.

კომკავშირი ბოლშევიკური პარტიის ღირსეული შვილია, მისი ერთგული. თანაშემწეა. ბრძოლასა და შრომაში თავი ისახელო კომკავშირმა და ამიტომ ბელადი ასეთ მაღალ შეფასებას აძლევს მას:

«კომკავშირი ყოველთვის იყო ჩვენს მებრძოლთა პირველ რიგებში».

კომკავშირელი განსახიერებდა იმისი, თუ როგორ უნდა ემსახუროს საბჭოთა ახალგაზრდა სამშობლოს; იბრძოლოს მისი ძლიერებისათვის, თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის. ამიტომ უყვარს იგი ჩვენს პარტიას, ჩვენს ხალხსა და დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს.

დღეს, სახელოვანი კომკავშირის ოცდაათი წლისთავზე მიულოცეთ თქვენს უფროს მეგობრებს—კომკავშირელებს—კომკავშირის დაბადების დღე.

ყოველი საბჭოთა ბავშვის ოცნებაა გახდეს კომკავშირელი; ისწავლეთ საუკეთესოდ, იყავით ბეჯითნი, შრომისმოყვარენი და უფროსების პატივისმცემელნი, რომ ერთგულად ემსახუროთ ჩვენს საყვარელ სამშობლოს. გაამართლეთ ჩვენი ხალხისა და დიდი ბელადის ამხანაგი სტალინის ამაგი და მზრუნველობა.

ი. ზოლუკვა

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი

4507



მშენებელი და სტამბის კომპლექსების მშენებელი

ნახტი ალ. გიგოლაშვილისა





საუბარი კომკავშირის შესახებ

29 ოქტომბერს კომკავშირის არსებობის ოცდაათი წელი შესრულდა; უთუოდ ყველას გაინტერესებთ და ჩვენც გვინდა გესაუბროთ ღენინური კომკავშირის შესახებ.

დააკვირდით კომკავშირულ ნიშანს, რომელსაც თქვენი უფროსი მეგობრები სიამაყით ატარებენ მკვრდის მარცხენა მხარეს: ნიშანი აღისფერ, პატარა დროშას წარმოადგენს, მასზე ხუთქიმიანი ვარსკვლავია, ვარსკვლავის შიგნით ამოკვეთილი ასოები — სკვ. აღკვ — საკავშირო ახალგაზრდათა ღენინური კომუნისტური კავშირი. უნდა ვიცოდეთ თუ რას ნიშნავს თვითველი სიტყვა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში მრავალი სხვადასხვა ეროვნება ცხოვრობს. სკვ, აღკვ — ყველა რესპუბლიკის კომკავშირელებს აერთიანებს, ამიტომ იწოდება იგი საკავშიროც.

ღენინური კომკავშირი ჰქვია იმიტომ რომ მისი მიზანია ცხოვრებაში გაატაროს ღენინის ანდერძი. ეს ღირსეული სახელი კომკავშირმა დიდი ღენინის გარდაცვალების შემდეგ, 1924 წელს მიიღო.

კომკავშირის იმიტომ ეწოდება კომუნისტური პარტიის და მთელ საბჭოთა ხალხს კომუნისმის აშენებაში, ახალგაზრდობას და ბავშვებს ზრდის კომუნისტური სულისკვეთებით.

კომკავშირი იწოდება ახალგაზრდობის კავშირად იმიტომ, რომ იგი წარ-

მოადგენს ახალგაზრდობის ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომელსაც ერთი მიზანი აქვს, ეს მიზანია — განუხრდლად ემსახუროს თავის სოციალისტურ სამშობლოს, იყოს ბოლშევიკური პარტიის ერთგული თანამშემწე: აღზარდოს ახალგაზრდა კომუნისტები, რომლებიც ღირსნი იქნებიან დიდი სტალინური ეპოქისა.

ჭერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე, მშრომელი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ბოლშევიკური პარტიის ირგვლივ იკრიბებოდა, პარტიის ხელმძღვანელობით მონაწილეობას იღებდა გაფიცვებში, რევოლუციონურ გამოსვლებში. დიდი ბეადები ღენინი და სტალინი ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პრილეტარულ ახალგაზრდობას, მასში ისინი ხედავდნენ ბოლშევიკების მებრძოდ რწმუნებს.

1918 წლის 29 ოქტომბერი კომკავშირის დაბადების დღედ ითვლება. ამ დღეს გაიხსნა სრულიად რუსეთის მუშა და გლეხი ახალგაზრდობის კავშირის პირველი ყრილობა.

ამ დღიდან კომკავშირმა სახელოვანი გზა განვიღო. საბჭოთა ქვეყნის არსებობის ყველა პერიოდში, კომკავშირი ყოველთვის სოციალისტური სამშობლოს მშენებელთა და დამცველთა პირველ რიგებში იყო.

სამოქალაქო ომის წლებში, ათეულიათასობით ახალგაზრდა, კომკავშირის მომიღიშებით, მართლად არმიის რიგებში იდგა; ბრძოლის ფრონტზე გმირული საქმეებით მათ



გვიჩვენეს თავიანთი ერთგულება ღენინისა და სტალინის დიადი საქმისადმი; დაუხმარნენ საბჭოთა ქვეყანას თერთგვარდიელთა არმიების განადგურებაში.

სამრძოლო დამსახურების აღსანიშნავად საბჭოთა მთავრობამ კომკავშირი წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა. ეს იყო კომკავშირის პირველი ჯილდო, რომელმაც საბჭოთა ახალგაზრდობა აღაფრთოვანა ახალი საგმირო საქმეებისათვის.

სოციალისტური მშენებლობის წლებში ასეული ათასობით კომკავშირელი მშენებელთა პირველ რიგებში ჩადგა. უფროს ახანაგებთან ხელიხელჩაკიდებულნი, ისინი აშენებდნენ ქარხნებს, ელექტროსადგურებს, ახალ ქალაქებს. დამკვეთლობისა და სოციალისტურ შეჯიბრებაში ინიციატივის გამოჩენისათვის, რომელმაც უზრუნველყო სახალხო მუშინების ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება, საბჭოთა მთავრობამ 1931 წელს ღენინური კომკავშირი წითელი წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა.

1941 წლის 22 ივნისს გერმანელ ფაშისტთა ჯარები თავს დაესხნენ ჩვენს ქვეყანას და დაარღვიეს ჩვენი ხალხის მშვიდობიანი ცხოვრება. დაიწყო გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის ბოლშევიკური პარტიისა და დიდი სტალინის მოწოდებისთანავე, კომკავშირელები სამშობლოს დამცველთა პირველ რიგებში ჩადგნენ. როგორც სამოქალაქო ომის დროს, ისე ახლაც, კომკავშირელები ნებაყოფლობით მიდიოდნენ ფრონტზე სამშობლოს დასაცავად და შეუპოვრად იბრძოდნენ მტრის წინააღ-

მდეგ. ხოლო ისინი ვინც ფრონტზე არ იყავიენენ, ზურგში გმირული შრომით უზრუნველბოდნენ სამშობლოს ვერაგი მტრის განადგურებაში.

სამამულო ომის წლებში სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის და საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში დიდი მუშაობის ჩატარებისათვის, საბჭოთა მთავრობამ ღენინური კომკავშირი უმაღლესი ჯილდოთა — ღენინის ორდენით დააჯილდოვა.

დიდი სამამულო ომის გამარჯვებით დასრულების შემდეგ, კომკავშირის სახელოვანი არმია მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად შეუდგა სოციალისტური მუშინობის აღდგენას, იმ ჭრილობების მოშუშებას, რომელიც ჩვენს ქვეყანას ვერაგმა მტრმა მიადგინა.

ახლა, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა იბრძვის ახალი სტალინური ხუთწლიანი წარმატებით შესრულებისათვის, კომკავშირელები ფაბრიკა-ქარხნებსა და სოციალისტურ მიწებებზე დაუღალავად შრომობენ, და შრომის გმირობის შესანიშნავ მაგალითებს იძლევიან.

სამი ორდენი ამშვენებს ღენინურ-სტალინური კომკავშირის სახელოვან გზას. ეს გზა კომკავშირმა დიადი ბოლშევიკური პარტიისა და დიდი ბეადის ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობით გაიარა.

დღეს, როცა ზეიმობს. საბჭოთა ახალგაზრდობა, — ჩვენი თვალი მიპყრობილია დიდი ბეადისადმი, კომკავშირის აღზრდელისადმი, რომელმაც მიძვეს ჩვენი დიადი ქვეყანა კომუნისტური გამარჯვებისაკენ.





ზოია



უფროსებისაგან ბევრჯერ გავე-
გონებთ კომკავშირელი რუსი გმი-
რის ზოია კოსმოდემიანსკაიას სახე-
ლი. დიდ სამამულო ომში ზოია
მოსალისედ წავიდა, ფაშისტ გერ-
მანელებს ებრძოდა და გმირულად
შესწირა თავი სამშობლოს.

ზოია კოსმოდემიანსკაია იყო
მოსკოველი სამაგალითო მახწავ-
ლე, მამა ადრე დაკარგა და მასწავ-
ლებელი დედა ზრდიდა; ზოიას
უკვარდა პრობა და სწავლა, კლასი-
ციდან კლასში ქების სიკვლით გა-
დადიოდა და ეოველ საქმეს, რასაც
კი დაავალდებუნ, — კეთილსინდისიერ-
ად ასრულებდა. გერმანულ ფაშისტ-
ებთან ომის დროს, უშიშარი კომ-
კავშირელი ზოია მოსკოველ ახალგა-
ზრდებთან ერთად მტრის ზურგში
გადავიდა და ჰარტიხანებს ბრძოლაში
ესმარებოდა. მისი ვინაობა გერმანე-
ლებს რომ არ გაეცათ ზოიამ მეტ-
სახელად ტანია დაირქვა. ბინად ტყე
ჰქონდა და ღამიღამობით რაზმის
დავალებას ასრულებდა; მათ გადასჭრეს
გერმანელების საველე ტელეფონის ხა-
ზი, ააფეთქეს იარაღის საწყოები

და ხიდები რომ ზედ გერმანელების
ჯარს აღარ გაეგლო.

ერთ ღამეს, ზოია მიიპარა ფა-
შისტების საწუობთან, მაგრამ აფეთ-
ქება ვეღარ მოახწრო, ფაშისტებმა
შეიპურეს და ბევრნაირად აწამეს
რომ თავისიანები გაეთქვა, მაგრამ
მას ერთი კენესაც არ წამოსცდუ-
ნია, ისეთი მტკიცე ხასიათი ჰქონდა.

ბოლოს გერმანელებმა სახრჩო-
ბელაზე აიკვანეს გმირი კომკავში-
რელი; სოფლიდან ხალხი ძალით
მოიკვანეს, რომ ზოიას ჩამოსრჩო-
ბისათვის ეურებინათ.

სიკვდილის წინ ამაყად მდგარმა
ზოიამ ხალხს ასე გადასძახა:

— სიკვდილისა არ შემინია ამხა-
ნაკებო, ხალხისათვის თავდადება —
ბედნიერებაა; იბრძოლეთ, სტალინი
ჩვენთან არის, სტალინი მოვა!

ამ სიტყვებით შეეცება წამებით
სიკვდილს ზოია კოსმოდემიანსკაია.

მას თავისი უკვდავი გმირობით
სამშობლო ახსხელა.



ო ლ ე ბ ი

ბავშვებო! თქვენს მშობლებს, ან დაძმებს ალბათ უამბნიათ თქვენთვის, უკრაინის ჰატარა ქალაქის — კრასნოდონის ასალგაზრდა გვირების თავდადებაზე, რომლებმაც სამამულო ომის დროს დააარსეს კომპაგვიროული ფარული ორგანიზაცია „ასალგაზრდა გვარდია“. ამ ორგანიზაციის შექმნილი და ხელმძღვანელი იყო მამაცი კომპაგვიროული ოლეგ კოშკევი.

„ასალგაზრდა გვარდია“, რომელშიც ასაძვე კულადი მოზარდი მედიოდა, თავკამოდებით ებრძოდა გერმანულ ფაშისტებს. გაბედული კომპაგვიროლები ამხევედნენ მოსახლეობას, ესპარებოდნენ დაჭრილ და ტყვედ ჩავარდნილ საბჭოთა მებრძოლებს, ათავისუფლებდნენ გერმანიის კასაკზავს მშვიდობიან მცხოვრებლებს. ისინი იარაღით ხელში მტერს თავს ესხმოდნენ და ანადგურებდნენ.

ასალგაზრდა გვარდიელები მოუთმეილად ელოდნენ ძიანლოვებულ წითელ ზრმის, მაგრამ საზისლარმა გამცემლობამ შესწევითა ამ ფარული ორგანიზაციის მუშაობა. მხოლოდ შეიდი კომპაგვიროული გადარჩა ცოცხალი, დანარჩენები კი წამებით მოჰკლეს.

ოლეგს განურებული შანთით აწამებდნენ, ნემსებით ჩხვლეტდნენ, მაგრამ მან გვიროულად გაუძლო ეოველგვარ ტვივილს და თავის ორგანიზაციისე ერთი სიტყვაც ვერ ათქმევინეს.

— ჰარტიზანად იმტომ გავედი, რომ მიუვარს ჩემი სამშობლო, მესიზღებით თქვენ, ჩვენ მეტნი ვართ, ჩვენ გავიმარჯვებთ, — ამაჯად მესმასა ოლეგმა გერმანელებს წამების დროს.

ასე შეწედა კრასნოდონელი კომპაგვიროული გოგონების და ვაჟების ლამაზი სიცოცხლე — რომლებმაც თავი დანდეს ჩვენი სამშობლოსათვის.

საბჭოთა მთავრობამ, ხუთ ასალგაზრდა გვარდიელს, მათ შორის ოლეგ კოშკევის, — „საბჭოთა კავშირის გიმირის“ დირსეული სახელი მიანიჭა.

პორტრეტები შესრულებულია
სახალხო მხატვრის

უჩა ჯაფარიძის მიერ.



შოთა გამცემლიძე

მომავლედმა ჯარისკაცმა ერთხელ კიდევ წამოაწია, ცისფერი თვალები გაახილა და მის თავზე დახრილ შავვკრემან სერენტს სუსტი ხმით უთხრა:

— შოთა!.. მშვიდობით ძმაო, შური იძიეთ, შური...

— ვანია, ვანია! — ჩასძახოდა შოთა. იქვე მდგომი, ქერა უკრაინელი მიტრო ხმადაბლა ქვითინებდა. ირგვლივ სიჩუმე იყო. მტრის ზარბაზნები დადუმებულიყვნენ, აღარც თვითმფრინავების ზუზუნი არღვევდა მყუდროებას.

— მიტრო! — უცებ აღვზნებით წამოიძახა შოთამ და ფეხზე წამოდგა. — გაიგონე თუ არა, რა თქვა სიკვდილის წინ ვანიაზე?

— გაიგონე, ძმაო, გაიგონე, — ჩურჩულით უპასუბა მიტრომ.

ისინი სიტყვის უთქველად გადახევივნენ ერთმანეთს, ერთად უცემდათ შურისძიების გრძნობით ანთებული გულები.

ომის დაწყებიდანვე ერთად იბრძოდნენ ისინი. სამივენა კომკავშირელები იყვნენ, ჯანღონითა და ახალგაზრდული ვატაცებით სავსენი. უკრაინელმა მიტრომ და რუსმა ვანიამ გულით შეიყვარეს და გაიმპო-

ბილეს ქართველი სერენტის შოთა გამცემლიძე.

ბრძოლის დროს, როდესაც ტყვიამფრქვევი კაქანებდა, ზარბაზანი ჰქუხდა და თვითმფრინავის ზუზუნი ისმოდა, იერიშზე გადასული ახოვანი ვანია თოფმომარჯვებული მირბოდა წინ და იძახოდა:

— მიტრო, შოთა, დასცხეთ ბიჭებო, დასცხეთ! — ბოხი ხმიანი მიტრო მარჯვნიდან უტევედა, ვეფხვივით მარდი შოთა თავისი ჯგუფით მარცხნიდან აყრიდა ხელყუმბარებს მტერს; ვანიას ხმას რომ გაიგონებდნენ, ძალა ემატებოდათ, წინ მიიწეოდნენ, ხმას აძლევდნენ მგეობარს:

— დასცხე ვანია, იდი ვანია, დასცხე! ბრძოლის შემდეგ ერთმანეთს ღიმილით ხედებოდნენ; ქრილობებს უსინჯავდნენ, გამარჯვებას ულოცავდნენ.

მაგრამ, ამ დილით, მტრის ტყვიამ წააქცია სიცოცხლით საესე ვანია. ვინღა გაამხნევეს ვაეკაცური ხმით მეგობრებს, ვინღა ახარხარდება გაქცეულ გერმანელებს რომ დაინახავს?

ასე ფიქრობდნენ შოთა და მიტრო და განთიადს გულის თრთოლვით ელოდნენ.

დილადრიან იერიში დაიწყო: შურის-
ძიების ეპი დარეკავს.

შუალღმე მოატანა, მაგრამ ბრძოლა
მინც არ სწყდებოდა. მტერი გაათორე-
ბულ წინააღმდეგობას უწყვედა საბჭოთა
ჯარებს. უკან არ იხვედა და ერთი ვაჯი
მიწის დათმობასაც არ აპირებდა. მტერში,
სისხლში და ტალახში ამოსვრილი შოთა
და ფეხში მძიმედ დაქრილი მიტრო სან-
გარში ისხდნენ და მტრის ტანკების მოძ-
რაობას უთვალთვალდებდნენ.

— ხედავ, როგორ ურჩხულივით მოი-
წეეს ის ტანკი?— წამოიძახა შოთამ.

წითელარმიელთა ერთმა ჯგუფმა ამა-
ოდ სცადა მისი შეჩერება. ტანკი კვლავ
წინ მოდიოდა და ავტომატომარჯვებულ
გერმანელებს მოუძღოდა. შოთამ კვლავ
წამოიწია, ბრძოლის ველს გაუხდა და მშვი-
დად თქვა:

— ეკ ტანკი თუ არ შევაჩერეთ და-
მარცხება მოგველის.

— ძნელია... დაიკენესა მიტრომ. — მე
სიარული აღარ შემიძლია, მარტო შენ
რას იხამ?

— უნდა შევაჩერო, უნდა მოვსპო...
ევაკუირი ხმით წამოიძახა შოთამ, მიტ-
რომ მეგობრის თვალებში თავვანწირვის
სურვილი ამოიკითხა.

— დაიცა, ჯერ შორიდან ვცადოთ, —
წამოიძახა მან და სროლა განაგრძო.

— თუ ვაღარჩე, აი ეს წერილი დედა-
ჩემს გაუტყავნე, — ჩურჩულით უპასუხა შო-
თამ, ხელუფარების კონას დაავლო ხე-
ლი და ტანკისაკენ გაიქცა.

— შოთა, შოთა!.. გასძახა მიტრომ და
ფეხზე წამოდგომა სცადა. საშინელმა ტი-
ვილმა იგი მოკვლილივით დასცა მიწაზე
მან კვლავ წამოიწია: შოთა ტანკისკენ სწრა-
ფად ვარბოდა, ბუჩქებს ევარებოდა; მიტ-
რომ დაინახა, როგორ მიუახლოვდა შო-
თა ტანკს, როგორ ესროლა ხელუფმარა...
ტანკი მინც მოგარუხუნებდა, შოთასკენ
წოწივდა. თავვანწირულმა ქაბუკმა ღონე
მოიკრიბა, ვეფხევივით ისკუნა და ხელუფმ-

ბარების კონით ხელში ტანკის ქვეშ შე-
ვარდა. ტანკმა იგრილა და აფეთქდა, მისი
მიტროს მეტი აღარაფერი დარჩნის.
დაეცა და გრძობა დაჰკარგა.

გონს რომ მოვიდა და თვალი გაახი-
ლა, ნაცნობი ჯარისკაცები და მედიცი-
ნის და დანახა, რომლებიც მას კრილო-
ბას უხვევდნენ.

— შოთა! — სუსტი ხმით წამოიძახა მი-
ტრომ და წამოდგა.

მედიცინის დას თვალებზე ცრემლი
მოადგა. ჯარისკაცები უხმოდ იდნენ. მზე
ჩადიოდა, ბრძოლის ველი სღუმდა, მხო-
ლოდ დაქრილთა კენესა და ჯარისკაცთა
შეკავებული სუნთქვა ისმოდა.

— შოთამ თავი გასწირა ჩვენი გამარ-
ჯეებისათვის... — ჩურჩულით თქვა ერთმა
ჯარისკაცმა. მიტრომ უკებ ჯიბეზე მოი-
სვა ხელი, შოთას ბარათი ამოიღო და
ათრთოლებული ხმით წაიკითხა:

„დღეა! შაბათი... სხვაწაირად არ შე-
მძღოლა... ხომ გახსოვს, მე გითხარი უკა-
ნასკენილად: ან გმირად დაგიბრუნდები, ან
გმირულად შეეწირავ სიკოცხლეს სამშო-
ბლოს... მაკოცხლე შენს გულში, დედა...“

მღელვარებამ და თვალებზე მოწოლილ-
მა ცრემლმა ხმა წაართვა მიტროს. გაუნ-
ძრევლად, უხმოდ იდნენ ჯარისკაცები.
ისინი გაჰყურებდნენ ჩამავალ მშეს, რომე-
ლიც თბილ სხივებს ჰფენდა დაღუმებულ
ბრძოლის ველს.

— დაეკარგეთ შოთა, დაეკარგეთ... მან
შური იძია ვინას სიკვდილისათვის...
ეჰ, რა ბიჭი იყო? — თქვა მიტრომ და
ჯარისკაცებს მიაშტერა.

ყველაზე წინმდგარი გვარდიელი შეირ-
ხა და წამოიძახა:

— ჩვენ ვიკოცხლებთ, მაგრამ თუ სი-
კვდილი მოგვიწევს, მოგვედებით ისე, რო-
გორც მოვედა კომკავშირელი შოთა გამ-
ცემილქ!

მ. მ. შალი

ნახატი ი. სუხიშვილისა

დედუღეთის გზაზე

შარშან, აგვისტოში, დედამ გვიბრძოდა: მალე სწავლა დაწყება, თბილისში წასვლის დრო მოახლოვდა, დედუღეთს გადავიდეთ,—ბებიანი ვინახულობათ. მე და დათუნას გაგვეხარდა; ბებიაც ძლიერ გვიყვარს და მგზავრობდა. რომ იცოდეთ რა კარგი გზა არის დედუღეთისაკენ!—მინდვრები, სერები, ყანები და წყაროები... დედამ უთენია გაგვადიდა, ცოტახანს ასე პირდაუხებლად ვიარეთ და სოფლის ბოლოს წყაროსთან შევივინეთ. ყინულივით ცივ წყალში პირი დავიბანეთ, მოგვშვიწოდდა, ვისაუბრეთ და გზა განვაგრძეთ.

აღმართი რომ ავიარეთ, სერზე გადავდექით და წინ ისევ ვრცელი მინდვრები გადაიშალნენ.

უპ, შენ გენაცვალე! იცი რა ყოფილა ადრე ადგომა?! სულ არ გინდა დაისვენო, გინდა ასე დაუსრულებლად იარო. ოღონდ მალიმალ გშვიდება!

ბოლოს, გორაკზე, ბებოს სოფელიც გამოჩნდა, ადრიაანდ მივიდოდით დედუღეთს, მაგრამ შეგვაგვიანდა: მზის ამოსვლას ვუყურეთ, ძველი ციხის ნანგრევთანაც გაგვანერა დედამ და გვიამბო იმ ციხესთან თურქის ჯარის დამარცხების ამბავი. მერე, უცებ ამინდი შეიცვალა მოიდრებლა, და სოფელთან სიმინდებში რომ ვავედით, ისეთი წვიმა მოვიარდა, რომ კინაღამ თან წაგვიღო. გზაზე მღვრიე ნიაღვრები მოჩხრიალებდნენ.

—გავიქცეთ!—თქვა დათუნამ, მაგრამ ტრიად მინდორზე ვიყავით და სად გავიქცევდით წვიმას. დედამ სიმინდებში გადაუხებია და ყვარით დახურულ ფარდულში სირბილით შეგვიძღვდა.



მივიხედ-მოვიხედეთ: მშვენიერი ფარდულია. გარეთ სიმინდის ლურჯ ღეროებზე შხაპუნობს წვიმა, შიგნით სიმშრალეა, აგერ, ჯერ კიდევ ჩაუშქრალ ნაკვერჩხლებზე ყვარში ჩამოპარული წვიმის წვეთები ეცემა და შიშინებს.

—უპ, რა ტაროებიან!—თქვა დათუნამ, სული რომ მოვიტყვიეთ.

—პართლაც რომ კარგი სიმინდია, ასეთი სიმინდი ზემოთ არსად შეგვხვებოდა,—დაემოწმა დედა.

მარცხარე გაგვხედ სიმინდს, მე ხომ პატარა ვარ და წელამდეც ვერ მომწვდებოდა, ამ სიმინდს კი თითის წვერზეც რომ შევმდგარიყავი ტარომდეც ვერ შევწვდებოდი.

ფარდულიდან ყანას გავცქეროდით და ცეცხლთან ვიშრობდით სველ ტანსაცმელს. დათუნამ ნაკვერჩხლებს იქვე დაყრილი ფინჩი წაუმატა და მალე ცეცხლი აპირიდა.

—ეს ალბათ მეველეს დარჩა ჩაუქრობელი,—თქვა დედამ. თურმე მეველეები



ღამიამობითაც დარაჯობენ სიმინდს და ცეცხლსაც ანთებენ, რომ დათვა და მან-
ვა ყანა არ გააფუჭოს.

გადაღებას არ აპირებდა, დედა ფარ-
დულის ბოძთან იდგა და სიმინდს გასცქე-
როდა. დამიძახა და ერთი მაღალი სიმინ-
დი დამანახა: მკლავის სისხო ხუთი ტარო
ჰქონდა; ხუთივე თავდაღმა დაკიდებული.

—საოცარია,—თქვა დედამ,—მიწა ერ-
თთა, ყანები ყველა დედულეთის კოლმე-
ურნობისა არის და ასეთი კარგი სიმინ-
დი არსად შეგვეხვედრია.

უცებ ფარდულში ვილაც შემოშლა-
გუნდა ჭყაბაყუბით. მოებრუნდით და —
ჩენი დათუნა; დაურჩევია, თავები კოხ-
ტად წაუტეხია და მყარდხედ მიხუტებუ-
ლი შოაქეს ოქროსფრად კბილდაკრეკილი
ტაროები.

დედა განრისხდა:

—ეგ რა ჰქენი ბიჭო!

—არადერი, მერე რა...

—როგორ თუ მერე რა... შენი დათე-
სილია თუ გათოხნილი! მაგას ხომ პატ-
რონი ჰყავს, ეგ ხომ სოფლისაა!..

დათუნა თავჩაქინდრული იდგა. გადა-
საყრდ აღ ველარ გაიმეტა მსხვილი, ლა-
მან-ლამაზი ტაროები—ფრთხილად დაა-
ლაგა მშრალ ფიჩხზე და განზე გადგა.

დედა ნაწყენი იყო, ძლიერ ნაწყენი.

ისევ წვიმდა. დედა ოდნავ რომ დამ-
შვიდდა, დათუნას უთხრა:

—ერთი, ახლა მოვიდოდეს მეველე და
დაგაბატომრებდეს!

ესა თქვა და თითქოს მიწიდან ამოვი-
დაო, ფარდულის წინ მაღალი სიმინდები
შეირხნენ და მუხლამდე შარფლისტოტებ-
აკარწახებული, ულუვაშიანი კაცი მოგვე-
სალმა.

ორლულიანი სანადირო თოფი ფარ-
დულის კუთხეში მიაყუდა, თან ჩანთაზე
ახირხლული ხუთიოდე მოკლული მწყერი
ლურსმანზე ჩამოჰკიდა და მასპინძელივით
მოიბოდიშა:

—ბოდიში თქვენთან, სკამები არ გვაქვს
და აგერ, ამ ქვებზე მაინც ჩამომსბდა-
რიყავით.

ეს იყო მეველე. დათუნა გაფითრდა.

—სადაური ბრძანდებით, ვისთან მიბრ-
ძანდებით,—გამოჰკითხა დედას მეველემ.
მერე, ფიჩხის დამატება დააპირა ცეცხლ-
ზე და დარჩეული ტაროები რომ დაინა-
ხა, წარბი შეიკრა:

—ეს ვერ გიქნია კარგი! შენი ოინი
იქნება,—უთხრა ეკვით დათუნას.—არა,
რალა კომკავშირული რგოლის ნაკვეთზე
მოსტეხე, ხომ ხედავ, რომ სარეკორდო
მოსავლის ყანაა...

დაუნამ კი არა, მეც არ ვიცი კარ-
გად, რა არის სარეკორდო მოსავლის ნა-
კვეთი, დათუნა კი პირველ კლასშია და
მამასადამე ორი წლით ჩემზე უმკროსი.
მეველე ნაწყენი იყო ჩვენზე, მაგრამ მალე
გაუარა წყენამ, ოთხივენი დიდ ქვებზე ჩა-
მოვსხედით შუაცეცხლის გარშემო და
ტაროების ტაცა-ტუცუში და წვიმის შხა-
პუნში გვიცვებოდა მეველე:

—სარეკორდო მოსავალი იმას ნიშ-
ნავს, რომ სამოცდაათი ცენტნერი სიმინ-
დი მოიყვანო ერთ ჰექტარზე. მერე, იცით
რამდენია სამოცდაათი ცენტნერი?! ადვი-
ლი საქმე არ გვეგონათ,—ხუთ წელიწადს
გვეყოფა სარჩოდ ოთხივეს... არა, სარე-
კორდო ნაკვეთზე როგორ მოსტესს კაცი
ტაროს! ერთი მარცვალიც რომ დააკლ-
დეს სამოცდაათ ცენტნერს, შრომისგმირო-
ბას დაკარგავს სილოვან დაეთაია!

—სილოვან დაეთაია ვინდაა?—იკით-
ხა დათუნამ.

—კომკავშირული რგოლის ხელმძღვანელია! რა ბიჭია რომ იცოდეთ! ნამდვილი კომკავშირელია, ნამდვილი: შრომისმოყვარე, დაუშარელი და ზრდილობიანი. დღედღამე თავს დასტრიალებს ყანას, სულ კომკავშირელები ჰყავს რგოლში...

მერე უცებ ფეხზე წამოდგა და ხელი გაიშვირა გზისკენ.

— აი, მოდიან კიდევ!...

გზაზე შეიდი თუ რვა ახალგაზრდა მორბოდა: მხრებზე თოხები და ბარები გაედოთ, შარვლის ტოტები აეკარწყებინათ და ნიაღვარში თავდაუზოგავად მოსტოპავდნენ.

გავლით მოგვესალმნენ, ყანაში შევარდნენ და მოუსვენს თოხები. მოხუცი მეველე წვერულვაშზე ტელს ისვამდა და თავმოწონებით გვიხსნიდა:

— ამ თვეში დიდი წვიმაობაა. ზემეტე არც წვიმა ვარგა სიმინდისათვის და არც მზე. წყალსაწრეტებს აკეთებენ ბიჭები; კვლები გაჰყავთ ყანიდან დაღმართისაკენ. შეხედეთ, როგორ მიწხრიალებს ზემეტე წყალი!.. ყანაში თუ გაჩერდა დაალბობს სიმინდს.

ნახევარი საათის შემდეგ წვიმამ იკლო. შარავნაზე კოლმეურნეობის დიდმა ავტომანქანამ ჩამოიარა. შოფერმა კომკავშირული რგოლის ბიჭები რომ დაინახა, მანქანა გააჩერა. ბიჭებმა სამუშაო მოათავეს, ჩვენც ვისარგებლეთ შემთხვევით და მანქანაში ჩავსხედით.

წვიმამ გადაიღო. ისევ მზე გამოიწვერა. რა კარგები არიან კომკავშირული ბიჭები. თავითფეხებამდე გალუმპულებს ორთქლი ასდიოდათ, მაინც მღეროდნენ. მოსახვევებში, მანქანის სველ ძარზე შიშველი ფეხები უსხლტებოდათ, — ეცემოდნენ, იცინოდნენ, მაინც ფეხზე დგებოდნენ და ისევ მღეროდნენ.

ბებიკოს კალო-კართან მანქანა-გაეჩერებინეთ. ერთი მათგანი შევეტრებინი და სანდომიანი ჭაბუკი შეგვეშველავდა. დათუნა ჩამოგვეყვანა მანქანიდან, მოგვეფერა და დათუნას წყიფე, სკალოო მსხალიც აჩუქა. დათუნამ მადლობის თქმაც ვეღარ მოახერხა, ისე ჩუმად აათავლიერა.

* * *

მას შემდეგ, რამდენიმე თვემ გაიარა. ჩვენ უკვე თბილისში ვიყავით, სკოლაში დავდიოდით. ერთ დღეს, ნასადილევს მამამ გაზეთი გაშალა, დაგვიძახა და ახალ ამბებზე გვესაუბრა. ბოლოს, გაზეთში დაბეჭდილი, შრომის გმირების სურათები გვაჩვენა; ერთერთ სურათს ქვეშ ეწერა:

სოციალისტური შრომის
გმირი

სილოვან დავითაია.

— ეს ხომ ის ძიაა, — გამოიყვირა დათუნამ, — დედულეთის მანქანიდან ჩამოსვლაზე რომ გვიშველა, მე რომ... აი, მსხალი რომ მაჭამა...

დღესაც დავუძახეთ და მამას მოუყევით დედულეთის აზახედ იმ აედარში ნახული და გამოვლილი.

იმ საღამოს დათუნა დიდხანს წერდა. გვიან ჩაეძინა და მაგიდაზე დარჩა კონვერტი ჩადებული უმისამართო წერილი.

შიგ ეწერა:

ჰბიძია სილოვან! ყოველდღე ვეძებდი შენს სურათს გაზეთში და ძლიერ ვდარდობდი ამდენ ხანს რომ ვერ ვნახე. ვფიქრობდი: ვაი თუ მე რომ ტაროები შევეუბამე, სწორედ ის ტაროები დააკლდა მეთქი. მეველემ თქვა: ერთი მარცვალიც რომ დააკლდეს სამოცდაათ ცენტნერს, შრომის გმირობას დაჰკარგავსო...

გალოცავ გამარჯვებულს.
ძაპატიე, ბიძია სილოვან, ტაროები
რომ მოგიტეხე ყანაში...

გწერს დათუნაჲ.

წერილი დედულეთის გავგზავნეთ, რამ-
დენიმე დღის შემდეგ პასუხს კვითხულო-
ბლით:

„ჩემო დათუნი! მართალია, ტაროები
დაგიტეხია ჩვენი კომკავშირული რგოლის
ყანაში, მაგრამ ჩვენ მაინც გავიმარჯვეთ
და სამოცდაათი ცენტნერის ნაცვლად

ოთხმოცი ცენტნერი მივიღეთ პექტარი-
დან. შენ კი მაინც კარგი ბიჭი ყოფილ-
ხარ, რადგან ჩვენს ყანაზე ფიჭობდღუდუ
ჩვენი გამარჯვებითა ხარ გახარებულნი
ისწავლე კარგად. გიყვარდეს ცოდნა
და შრომა.

მოკითხეას ვითვლიან ჩვენი ახალგაზრ-
დული რგოლის კომკავშირელები.

შენი სილოვანი“.

მურჰან ლუბანიძე

ნახატები ი. გაბაშვილისა

2054



კომკავშირელი

დიდს, პატარას, ყველას უყვარს
უძახიან კომკავშირელს,—
ვერაფერი დაალონებს,
ვერაფერი შეაშინებს.
მონინავე სტუდენტია,
მონინავე მშენებელი,
მუდამ სხეულის მისაბაძი,
მუდამ შეუსვენებელი.

ნამი რაა, ნამიც არ სურს
უსაქმურად დაკარგული,
უყვარს გარჯა—წინსვლის წყარო,
წივნი—ცოდნის ნაკადული.
შენც პატარავ, მისი ცეცა ხარ,—
კომკავშირის მომავალი,
ყური უგდე მშობლის რჩევას,
ნუ იქნები ონავარი,

და როდესაც გახვალ უკვე
შენ, ცხოვრების დიად გზასთან,
ყველა გულით შეგიყვარებს
კომკავშირელ ახალგაზრდას.

იოსებ ნონაშვილი



მასწავლებელი

ქარბუქიან ლამეში დაზვერვიდან ვბრუნდებოდით. დანაღმულ ადგილს წავაწყვდიოთ, ჩემი სამი ამხანაგი ნაღმმა დაუღლიათა.

მარტო დავრჩი. ბევრი ვიარე, უცნობ სოფელს მივადექი და მაშინ დავერწმუნდი, რომ გზა ამერია.

წინ ფრთხილად მივიწვედი.

ერთი ქობიდან სინათლე გამოდიოდა: ფანჯარაში შევიხედე. გერმანელები ვაზმომობდნენ.

— შესდექ! — მომესმა გერმანულად.

ორი კაცი მიახლოვდებოდა. ავტომატი ვესროლე და გავიქეცი, იმათაც მესროლეს. ჩემს თავთან რამდენჯერმე გაისიხინა ტყვიამ.

ღობეზე გადავქვერი, გრძელ, დაბალ შენობას ამოვეფარე. ქულა გერმანელებით აივსო, გამორბოდნენ და ისროდნენ. ჩოჩქოლი რომ მიწყდა, გადავწყვიტე ტყისათვის შემეფარებინა თავი, მაგრამ მარცხენა მუხლმა მიღალატა, მივხვდი — დაჭრილი ვიყავი.

ერთ სახლს გარშემო მოვეუარე, როგორც ექნა, კარები მოვნახე, მზრით მივაწვიე. კარი გაიღო და შევედი.

* * *

გათენდა.

სახლი დავადგალიერე. პატარა და ღრიდი ოთახისაგან შესდგებოდა.

პატარა ოთახის კუთხეში მივეჯექი.

მზე ამოვიდა, მისი თბილი სხივი ფანჯარაში შემოიკრა, სახეზე მომეფინა და ჩაეთვლიმე.

ახალგაზრდა ქალმა გამომადიქია, ავტომატს ვტაცე ხელი.

— დაჭრილი ხართ, ამხანაგო წითელ-არმიელო? — მკითხა მან და გასისხლიანებულ ფეხს დააცქერდა.

— დიახ.

— აბა, კრილობა მიჩვენეთ, წინათ ექიმის თანაშემწედ მიმუშავია, მესმის ეს საქმე.

— თქვენ, ვინა ხართ? — შევეკითხე.

— სკოლის გამგეც, მასწავლებელიც. მენდეთ, კომკავშირელი ვარ!



— მჯერა, მაგრამ ამ სოფელში ხომ გერმანელები არიან?

ქალს გაეღიმა:

— ემუშაობთ, ამხანაგო წითელარმიელო!.. ღამე თქვენ ისროლეთ ავტომატი?

— მეც ვისროლე, გერმანელებმაც.

მის ღამაზე სახეზე შეწუხება გამოიხატა; მეორე ოთახიდან ბავშვების ჟრიაშული ისმოდა, მოსწავლეები მოსულიყვნენ.

— სად დავმალეთ, რა გქნა? დღეს მთელ სოფელს ააწიოკებენ; გერმანელების ოფიცერი მოგიკლავთ. ალბად საქმბრად აქაც მოვლენ...

ჭრილობა შემიხვია, მერე ჩაფიქრდა:

— ბავშვებს გავაფრთხილებ, - თავისთვის ჩილაპარაკა და კარი გააღო.

მცირე ხნის შემდეგ გაღიმიებული შემოვიდა.

— მომყვით ამხანაგო. სიარული შეგიძლიათ?

კოკლობით ავედევნე. ბავშვებით სავსე ოთახში შევედი.

ბავშვები გარს შემომეხვივნენ. განზე იდგა პატარა, ლურჯთვალებიანი, ოქროსფერთმიანი გოგონა და ცრემლით სავსე თვალებით შემომცქეროდა. თავზე ხელი გადაეუსვი; მსხვილი ცრემლები დაეკიდა წამწამებზე, პაწაწინა ხელები ჩამავლო სახელოში, მომეკრო.

— გუშინწინ გერმანელებმა მამა დაუხვრიტეს, — ამოიოხრა მასწავლებელმა. გოგონას აკოცა, მერე ფანჯარაში გაიხედა და გაფთხრდა.

— გერმანელები მოდიან, იჩქარეთ! კედლის ლუმელთან იატაკს ორი მოკლე ფიცარი ჰქონდა აგლეჯილი. იქ მიმიყვანა.

— ჩაეშეთ, შიგ საარდაფია, — ჩურჩულით წარმოსთქვა მასწავლებელმა და ოდნავ მიბიძგა.



ფიცრებს შორის ძლივს ჩაგიტანე სხეული. საბეჭორფლიანმა, გამხდარმა ბიჭუნამ ოთახის კუთხიდან ფარდაგი მოათრია, ისე გაშალა, რომ სარდაფში ჩასასვლელი დაჰფარა. ჩამოხველა. უცებ, მძიმე ფეხის ქვეშ აჭრიალდა იატაკი.

„გერმანელბია“ — გაფიქრე და სულგანაბული ვუსმენდი ფეხის ხმას. ფეხის ხმა მიხლოკდებოდა, გულირ გამალებით მიცემდა.

„უწაბოლველად არ დაენებდები, მაგრამ მასწავლებელსა და მოწაფეებზე ხომ შეურს იძიებენ!“ — ეფიქრობდი გულისტკივილით.

გარკვევით გავიგონე გერმანელის ხმა-მაღალი ლაპარაკი. დროადრო იატაკს ფეხს ურტყამდა, მასწავლებელს თუ ემუქრებოდა.

გერმანელი გაჩუმდა. რამდენიმე წუთით დუმილი გამეფდა. მერე ბავშვები ჩუმად აღაპარაკდნენ და კვლავ დუმილი ჩამოვარდა.

მასწავლებელმა აჰქეცა ფარდაგი და ჩემსკენ დაიხარა:

— გერმანელები წავიდნენ, სარდაფში იყავით, ნუ ამოხვალთ. შეცდებივით დამწაწიან, თქვენს კვალს ეძებენ! — თქვა და პალტოები ჩამოჰყარა, ქალაღში გახვეული რალაც საგნებიც მომაწოდა.

— ეს რა არის? — შევეკითხე მასწავლებელს.

— ბავშვებმა დასტოვეს, პალტოები და საუზმე — ძიას გადაეცითო. პალტოები დაიხუროს, რომ არ შესცივდეს, საუზმე მიირთვას, მშვიერი იქნებაო. ერთი მათგანი შორს ცხოვრობს, მეშინია არ გაცივდეს, გარეთ საოკრად ჰყინავს... ნახვამდის, ამხანაგო...

ფარდაგი ისევ გაშალა. საბეჭორფლიანმა ჩამოხველა.

* * *

ჩემს ირგვლივ ვირთავგები დარბოდნენ. პალტოებში გავეწვიე და ძილს თავი მივეცი.

გამომეღვიძა. ბნელოდა; სინათლე მომენატრა, წყურვილიც მაწუხებდა.

„ამოვალ, თუ ღამეა ტუისაკენ გავწვი-რამდენი ღამე და დღე უნდა გავატარო ამ ჯურღმულში?“

იატაკის ფიცრების პრიალმა შემაკრთო. რამდენიმე კაცი სწორედ ღუმელისაკენ, სარდაფში ჩასასვლელისაკენ მოდიოდა ჩქარი ნაბიჯით.

— ფარდაგი გადასწიე! — ბოხი ხმით მიმართა ერთმა მეორეს:

„მომაგნეს! გამცეს... ტყე ახლოა, სჯობდა გავტყუულიყავ, ფეხი არც თუ ისე მტკიავ...“ — გაფიქრე და ატუომატს თითები მოვეუქირე.

— ამოდი! — ბოხი ხმით ჩამომძახა მამაკაცმა და ფარდაგი ასწია.

„ვერ მომატყუებთ“ — გაფიქრე.

— ხომ არ გარდაიცვალა? ჩავიდეთ, ენახოთ, — თქვა კვლავ იმ მამაკაცმა.

— ამხანაგო წითელარმიელო, სოფელი ჩვენებმა დიკავეს, ამოდი! — ვიცანი მასწავლებლის ხმა.

გახარებული, კოკლობით მიველ იმ ადგილთან საიდანაც შეუქი ჩამოდირდა; ფიცრებს შორის თავი ამოკვავი.

მართლაც, რამდენიმე წითელარმიელს გახარებული ბავშვები შემოჰხვევოდნენ, ხოლო, შეგვრემანი ლეიტენანტი მასწავლებელ ქალს ღიმილით ართმედა ხელს.

ანდრო ლომიძე
ნახატები შალვა ცხადაძისა

უფროსი მეგობარი



პატარა ვანო ოთახში საწერ მაგიდასთან იჯდა და გაკვეთილს სწავლობდა. უცებ აივნიდან მძიმე ნაბიჯის ხმა შემოესმა. ვანო გაკვირვებული წამოხტა. არავის ელოდა. დედა და მამა სამსახურში იყვნენ წასული.

„ნეტავ ვინ არის?“ გაიფიქრა მან და ფანჯრიდან გაიხედა.

კარს ხურჯინწამოკიდებული, გრძელწვერა მოხუცი მოადგა.

— პაპა მიხა! პაპა მიხა! — სიხარულით წამოიძახა ვანომ და სტუმარს კარი გაუღო.

სტუმარი კენესით შემოვიდა სახლში, მძიმე ხურჯინი კუთხეში დაუშვა, ტახტისკენ ბარბაცით წავიდა და ჩამოჯდა. ვანომ მისაგებებლად გაშლილი მკლავები დაბლა ჩამოუშვა და მოხუცის შეწუხებულ სახეს მიაჩერდა.

— შვილო, ქალაქში ავადმყოფობამ ჩამომიყვანა, ფეხზე ვეღარ ვდგები, წადი დედას დაუძახე! — კენესით თქვა მოხუცმა, ტახტზე მიწვა და თვალები დახუჭა.

ვანოს შეეშინდა, თვალეზზე ცრემლი მოადგა. ვაი თუ საყვარელ პაპას რამე დაემართოს, ვაი თუ ველარაფერი უშველონ? კოცნაც კი ვერ მოასწრო...

კუთხეში მიგდებულ სავსე ხურჯინს ირიბად გადახედა, კარი გამოაღო და დედის სამსახურისკენ მოჰკურცხლა.



აგერ იმ გადასასვლელებზე უნდა გადავიდეს, მერე ჩაუხვევს, და დედაც ხომ იქვე მსახურობს. ქუჩაში ტრამვაის ხმაურია, მანქანები მიჰქარიან, აუარებელი ხალხი მიდი-მოდი. მირბის ვანო, გამვლელებს ფეხებში ედება, ხან ვის დაეჯახება, ხან ვის.

მაგრამ რა იქნა ის ნაცნობი გადასასვლელი? ველარც ის ჩასახვევი იპოვნა. შეჩერდა, ცრემლი მოადგა.

პაპა კი ვინ იცის რა დღეშია ახლა, ვინ იცის?

ვილაც მოზრდილი ბიჭი დაეჯახა ვანოს.

— რას გაჩერებულხარ შუა ქუჩაში! — დასკუივლა მან, კისერში ხელი ჩასკიდა, მერე ნაბდის ქუდი მოჰხალა და ფეხით გააბურთავა. ვანო ქუდს დაედევნა, ფეხებში ჩაუვარდა ბიქს, მაინც ვერ წაართვა ქუდი. ფეხბურთელივით ატყუებდა აბეზარი ბიჭი საწყალ ვანოს, ხან ერთ მხარეს გააქანებდა ქუდს, ხან მეორე





მხარეს. ვანო ტიროდა, ქუჩაში შეკრებილი ბიჭები იცინოდნენ.

უცებ საიდანღაც მეორე მოზრდილი ბიჭი გაჩნდა, ცელქ ბიჭს ხელი წაავლო, ქუდი წაართვა და შესძახა:

— ცუდლულტო, შენს საქციელს მაინც არ იშლი? ხვალ სკოლაში ხომ მოხვალ! მოიცა, მე გაჩვენებ, როგორ უნდა პატარების დაჩაგვრა! ვანომ მადლოიერი თვალით შეხედა მხსნელს. უცნობმა ბიჭმა ვანოს თავზე ქუდი დაახურა, ცრემლები მოსწმინდა, დაიხარა და თანაგრძნობით კითხა:

— სად მიდიხარ ბიჭუნავ?

— დედასთან, სამსახურში... გზა დავკარგე... პაპა ავად არის. — გულამოსკენით წამოიძახა ვანომ.

— სად მსახურობს დედაშენი, რომელ ქუჩაზე? მიგიყვან, ნუ გეშინია, — გაამხნევა უცნობმა ვანო.

— აბრეშუმს რომ ჰქსოვენ იმ სამსახურში! — წამოიძახა ვანომ — მცირე ხნის ფიქრის შემდეგ.

— ვიცი, წამოდი წაგიყვან.

უცნობმა ბიჭმა ხელი მოჰკიდა ვანოს და წაიყვანა.

„ვინ არის ნეტავ ეს კეთილი ბიჭი? რაღაც ნიშანი აქვს გაკეთებული, ნეტავ რა ნიშანია!“ — გაიფიქრა ვანომ და უცნობის მკერდს ახედა. დიდ შენობას მიაღვინენ, ფანჯრებიდან მანქანების გრილი ისმოდა. ვანოს თვალები გაუბრწყინდა.

— ახლა კი ვიცი გზა. მე თვითონ წავალ.

— არა, დედას უნდა ჩაგაზარო! — უპასუხა უცნობმა და წინ გაუძღვა.

დედას თან შეეშინდა, თან გაუკვირდა უცნობი ბიჭისა და ვანოს დანახვა. ვანომ სხაპასუხით უამბო ყველაფერი. მათ მადლობა გადაუხადეს უცნობ ყმაწვილს და შინისკენ გაეშურნენ.

— დედა, რა ნიშანი ჰქონდა იმ ბიჭს მკერდზე? — კითხა ვანომ დედას.

— შვილო, იმ ვაქს კომკავშირის ნიშანი ეკეთა: ახალგაზრდა ლენინელია... ყველა ზრდილი და წესიერი ახალგაზრდა კომკავშირელია!

ვანო გაჩუმდა, დედას მხარდამხარ მისდევდა და ფიქრობდა:

„კომკავშირელები კარგი ბიჭები ყოფილან. მეც რომ გავიზრდები კომკავშირელი გავხდები. ეს ბიჭი რომ არ შემხვედროდა, ვინ იცის სად გაფრინდებოდა ჩემი ნაბდის ქუდი, ვინ იცის რა დაემართებოდა ჩემს საყვარელ პაპას...“

ახლა კი დედა ექიმს მოიყვანს, ექიმი წამალს გამოსწერს და პაპას მოარჩენს. პაპა იმ ხურჯინს გახსნის, წელან კუთხეში რომ მიაგდო; ვინ იცის ბებომ რა არ გამომიგზავნა?!

მიორბი შაბაიაშვილი

ეს არის ჩემი ოცნება...


ჩემი პატარა გულისა
არის ოცნება პირველი;
მსურს გავხდე ქვეყნის ერთგული,
მედგარი კომკავშირელი.

მსურს მხარში ვედგე პარტიას,
ნიშანი მკერდს მიმშვენებდეს,
მეც კომკავშირელს შეძახდნენ —
მზე-კომუნიზმის მშენებელს.

სწავლაში ვიყო პირველი,
შრომაშიც ვიყო პირველი,
სამშობლოს საზღვრებს ვიცავდე,
ისე, ვით კომკავშირელი.

გ ა ს ა რ თ ო ბ ი

ჩასწავრეთ და ამოიკითხეთ



ბავშვებო! ამ უჯრედებში, შე-
ვიდნ ქვევით, ჩასწავრეთ აქ დასა-
ტული სვანების და ცხოველის სვ-
სელები, ისე რომ ჰირველ სტრი-

ქონში, სივანესე ამოიკითხოთ ის,
რისადმიც მიძღვნილია ჩვენი გურ-
ნალის ეს ნომერი.

პასუხისმგებელი რედაქტორი **რ. მარგინი**
სარედაქციო კოლეგია: **ბრ. პაპიძე, აკ. ბარჯანაძე, ი. გრიშაშვილი, თ. თაყაიშვილი, მკე. მკეპელიძე, ი. სიხარულიძე, ნ. უნაშვილი, შ. სხალაძე.**

ყლის პირველი გვერდის მხატვრობა შესრულებულია **რ. სტურუას მიერ**


ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ

ДИЛА ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 10. 1948 г.

გამომცემლობა „კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. 1 საბო. ტელ. 3-81-85

გამომცემლობის შეჯ. № 92 სტამბის შეჯ. № 1398/1788 ტირაჟი 7000 უღ 14912 ფანი ნ მან.

ტექსტი ამუშავებულია **ლ. პ. ბერაძის** სახელობის პოლიგრაფიკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში. გერანლი დანტყდალია **ოვსტის სისტემის მანქანაზე „ხარია ვოსტოკას“** სტამბაში, თბილისი რესთაველის პროსა. № 42



ქ ა რ ხ ა ნ ა უ ი

ექსკურსიაზე ვიყავით
 გუშინწინ ამხანაგები,
 ფნახეთ ღამაში ქარხანა
 რკინა-ბეტონით ნაგები.
 ძია ინჟინრის სიტყვები
 ხმაურში ძლივსლა ისმოდა:
 ბრუნავდა დიდი ბორბალი,
 ირგვლივ ნაპერწკლებს ისროდა.
 ბორბლებზე შემოხვეული
 მისრიალებდნენ ლვედები,
 დაზგებთან იდგნენ მუშები
 გადალულიდი მკერდებით.

თავდაღებულად შრომობენ
 ჩვენი სამშობლოს შვილები,
 მათ შორის უკეთესები
 არიან კომკავშირელები.
 მუშებში ნახა გოგიამ —
 ძმა იდგა ტყავის ხაღათით,
 სტახანოველი ყოფილა
 და მონინავე ხარატი.
 მე წავევითხე, ეწერა
 დაზგასთან მიკრულ ფიცარზე:
 «დღეში ხუთ ნორმას ასრულებს
 კომკავშირელი ცინცაძე».